



ხალგაზრდა ვერეული

სუთხაბათი
11
ოქტომბერი
№ 111 (11597)
1990

ქვემოთ ხაზის
1921 წლიდან

ახალგაზრდული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

ფასი 8 კპპ.



ხალგაზრდა ვერეული 1990

012109 კური 30 ჰბ. იანვარი ქ.თბილისი	001521 ქანაჭი 1 ჰბ. იანვარი ქ.თბილისი	001915 გენიანი 1 ტონა იანვარი ქ.ქუთაისი
001561 შაქარი 10 ჰბ. იანვარი ქ.ფოთი	017810 ჩეი 1 ჰბ. იანვარი ქ.ბათუმი	012341 ციხრულა 10 ჰბ. იანვარი ქ.სოხუმი
019580 ლორის სამშაპი 10 ჰბ. იანვარი ქ.თელავი	012031 ხილი 20 ჰბ. იანვარი ქ.ზღინი	012341 ყველი 25 ჰბ. იანვარი ქ.ჭიათურა
	012156 ხიზილა 2 ჰბ. იანვარი ქ.სონი	013501 სამშაპი მასალა N ტონა იანვარი ქ.რუსთავი
		012030 ლორის 10 ჰბ. იანვარი ქ.მგობა
	015201 ქეთაძე 5 ჰბ. იანვარი ქ.ფუტყალი	015620 ლვინო 50 ჰბ. იანვარი ქ.ბურჯანაძე
		012345 „აქსა“ 40 ჰბ. იანვარი ქ.ლენინო

საბავშვო
ბიბლიოთეკა
1990.10.11

ბაზონი
სერია H11-1
000001
ხალგაზრდა
ვერეული
14 ტომი
იანვარი • თბილისი

მომავალი წლიდან ჩვენი გაზეთი სისტემატურად დაგეგმავს ქვეყნის კარგ-
დუქტების ტალღებს. ამდენად, თუ გსურთ მთელი წლის განმავლობაში
უზრუნველყოთ თქვენი ოჯახი... ტალღებით, გაერთიანებით „ახალგაზრდა
ივერიელი“. ეს სულ რაღაც 9 მანეთი და 60 კაპიკი დაგიჯდებათ.
ოჯახის უფროსებო, ხელიდან ნუ გაუშვებთ ამ შანსს.
ამ სერიოზული იდეისა და ნახატი-ხუმრობის ავტორები არიან ა. ლავითიძე, გ. აბრამიშვი-
ლი და კ. ბაბიძე.

რაოდენობა საბჭოთა კავშირში თითქმის განახევრდა: 194-იდან 101-მდე დავიდა).

ერთ ცნობილ საერთაშორისო სტატისტიკურ მონაცემს მიხედვით, რომელიც აჩვენებს, რომ ბევრი მცირე რეგიონები ერთ თავისთავად საერთაშორისო სტატისტიკურ ერთეულად აღიარებული არ არის.

და რაკი ეს ასეა, კვლავ და კვლავ იბადება კითხვა, რატომ გავრცობს გული საქართველოდან? ხეივანი პარტიციპაციის ლემბინობა სწავლიათ?

ამ კითხვებზე აქვე შეიძლება პასუხის გაცემა. მაგრამ სჯობს ამჯერად თავი შევიკავო დასკვნისადმი. დასკვნებს თვითონ მკითხველი გამოიტანს. ჩემი მხოლოდ მიზანია ფაქტების მიწოდება ანუ მოთხოვნა იმისა, თუ როგორი ეთნიკური ვითარებაა თვალყურსდევნილი საბჭოთა ქვეყნის სხვადასხვა რეგიონებში: როგორ ცხოვრობენ მკვიდრი ხალხები ჩრდილოეთსა და შორეულ აღმოსავლეთში, რუსეთის ფედერაციის ცენტრალურ ნაწილში, ჩრდილოეთ კავკასიაში; როგორ მდგომარეობაში იმყოფებიან შუა აზიის ერები; როგორია ზეგნული მოლდაველებისა, ბალტიისპირეთის ჯარბუნებისა; გავეცნობთ ებრაელებს, აგრეთვე იმ ხალხთა ბედს, რომელთაც საბჭოთა კავშირში არ აქვთ სახელმწიფო წარმომადგენლობა (მხედველობაში მყავს გერმანელები, პოლონელები, კორეელები, გაგაულები, ყირიმელი თათრები, ლეკგალები, ბოშები და სხვები).



თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ორ დღეს მიმდინარეობდა საქართველოს პოლიტიკურ პარტიათა და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა კონფერენცია: „ერთგვანათმფობრისი ურთიერთობების პრობლემები საქართველოში“...

კონფერენცია ჩატარდა უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებთან და სტუდენტთა, აგრეთვე „დას“-ისა და საქართველოს ეროვნული თანხმობის ასოციაციის წევრთა ინიციატივით. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს რუსთაველის საზოგადოების, ტრადიციონალისტთა კავშირის, ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის, რესპუბლიკურ-ფედერალური პარტიის, ლიბერალ-დემოკრატიული ეროვნული პარტიის, წმინდა ილია მართლის საზოგადოების, თავისუფალ დემოკრატიულ კავშირის, საქართველოს სახალხო ფრონტის, მწვენიეთა პარტიის, კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტიის, ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის, დემოკრატიული საზოგადოების ეროვნული პარტიის, თბილისის პონტოვ ბერძენთა საზოგადოების, რუსთაველის საზოგადოების ქართული ასოციაცია „რონის“, ოსთა ასოციაცია „რასთინადის“, ახალგაზრდული სომხური თეატრი „ნაირის“, პოლურთი კლუბის საინიციატივო ჯგუფის, ქართული ფოლკლორის სახალხოსა და ეროვნულ ურთიერთობათა კვლევის ცენტრის წარმომადგენლებმა.



ვინც დაესწრო, მათ მხოლოდ მეთვალყურის როლში დარჩენა ამჯობინეს, რამაც თავიდანვე განსაზღვრა კონფერენციის ერთგვარული მიზანობა.

კაცმა მალა, მალაო...

ბის, რუსთაველის საზოგადოების ქართული ასოციაცია „რონის“, ოსთა ასოციაცია „რასთინადის“, ახალგაზრდული სომხური თეატრი „ნაირის“, პოლურთი კლუბის საინიციატივო ჯგუფის, ქართული ფოლკლორის სახალხოსა და ეროვნულ ურთიერთობათა კვლევის ცენტრის წარმომადგენლებმა. როგორც კონფერენციის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა „დას“-ის წარმომადგენელმა გიორგი ლაპი-აშვილმა განაცხადა, კონფერენციის მიზანი იყო საქართველოში მცხოვრები არაქართველი მოსახლეობისათვის გაეცნოთ საქართველოს პარტიებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების პოზიციები ეროვნებათშორისი ურთიერთობის საკითხებთან დაკავშირებით. ეს მით უფრო საჭირო იყო წინასწარჩვენო პერიოდში, რათა არაქართველ მოსახლეობას გაეცნოთ იმა თუ იმ პარტიის მწყობრი პოზიციები ეროვნებათშორისი ურთიერთობის საკითხებზე და ამის შესაბამისად გამოეყენათ თავისი დამოკიდებულება საერთოდ არჩევნებისადმი.

მართალია, კონფერენციაზე გამოსულმა პოლიტიკურმა მიმომხილველმა სოსო ცინცაძემ თქვა, რომ ნურავის გაუკვირდება, თუ კონფერენციის დამთავრების შემდეგ პრობლემები ბევრად მეტი იქნება, ვიდრე მანამდე გვეგონათ, რადგან ეროვნებათშორისი პრობლემები აქილევსის ქუსლია ყველა იმპერიისა და მათ შორის ჩვენი „მშობლიური“ იმპერიისაცაო. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს პრობლემები არც დასაწყისში გამოჩენილა და კონფერენციის ბოლოს, ხომ ქართული ზღაპრის დასასრული მთავანდობლა კაცს: „ჭირი იქა, ლხინი აქა...“

კონფერენციას, წინასწარი თანხმობის მიუხედავად, არ ესწრებოდნენ არა მარტო ეროვნული შუღლის გამოღვივებლად აღიარებული „აიდილორს“ და „ადამონ ნიხასის“, არამედ ბევრი სხვა, კეთილშობილური ორგანიზაციის წარმომადგენლებიც, თუნდაც სომხები, რომლებსაც, თურმე, საქართველოში 15-მდე სხვადასხვა ორგანიზაცია ჰქონიათ.

მაგრამ მიეყვებო კონფერენციის მსვლელობას. პონტოვ ბერძენთა ასოციაციის წარმომადგენელმა გიორგი ვაბარაიძემ ისაუბრა საქართველოში მცხოვრები ბერძენების პრობლემებზე. მან გულისტყვილით აღნიშნა, რომ ბერძენებს არა აქვთ საშუალება არც მშობლიური და არც ქართული ენის შესწავლისა. ოსური ასოციაცია „რასთინადის“ თავმჯდომარემ ბორის ლუღაროვმა თქვა, რომ ქართველებსა და ოსებს კეთილშობილურ დამოკიდებულების პირველი მტერი არის მესამე ძალა, რომლის სცენარიც თამაშდება ეთნოკონფლიქტები არა მარტო ე. წ. სამხრეთ ოსეთში, არამედ მთელ საქართველოში.

ეროვნული თანხმობის ასოციაციის წარმომადგენელმა, კონფერენციის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა ალექსანდრე რუსეცკიმ თქვა, რომ სხვადასხვა სახის კონფლიქტებს საზღვარგარეთ ასობით ინსტიტუტი სწავლობს. საქართველოში კი, ფაქტობრივად, ამ მხრივ მნიშვნელოვანი არაფერი კეთდება. ამის საპასუხოდ საქართველოს მეცნიერებთა აკადემიის ეროვნულ ურთიერთობათა კვლევის ცენტრის დირექტორმა გიორგი ყორელოვანმა ისაუბრა იმ სამუშაოზე, რომელიც უკვე ჩატარა ამ ცენტრმა ეროვნული ურთიერთობების კვლევისათვის და თანამშრომლობა შესთავაზა ამ საკითხებზე დაინტერესებულ პირთ. საქართველოს მომავალ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ მოწყობაზე ილაპარაკა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტმა, ეროვნულ ურთიერთობათა

თანდათან უფრო მეტად იხიენ თავს. ამის თქმის საბაზისი დარბაზში მომხდარმა ერთმა ინციდენტმა მოგვცა — სიტყვა ითხოვა თბილისის უნივერსიტეტის პირველი კურსის სტუდენტმა გიორგი ტაბატაძემ, მის გამოცხადებაში, რომელმაც დარბაზის აღმწვთება გამოიწვია, ჩვენ პირველ რიგში მაინც პროტესტი დავინახეთ ერთა შორის ურთიერთობების ისტორიისა და დღევანდლობის შემაჯავებელად (ზოგჯერ გაყალბებულად) წარმოდგენის წინააღმდეგ. დავანებოთ თავი ქართველებისა და ბერძენების ისტორიულ მეგობრობაზე ლაპარაკს, ბერძენებმა მეფე გუბაში მოგვეკალითო, მიმართა მან გიორგი ვაბარაიძეს, რომელიც ძალზე სიმბათიურად წარმოჩნდა კონფერენციაზე თავისი გულწრფელი კეთილშობილურებითა და დახვეწილი ქართულის გამოცხადებით. მეფე გუბაში მოგვეკალითო — ამ გულუბრყვილო ბრალდებაშიც გამოიკვეთა საქართველოს ახალგაზრდობის (და არა მხოლოდ ახალგაზრდობის) არტუტული ნაწილის განწყობილება, რომელსაც უთუოდ სჭირდება განმუხტვა და თანაც სწორედ ასეთ, მშვიდად სასაუბრო სიტუაციაში. მაგრამ... სწორედ ამ „მაგრამ“-ის გამო დატოვა დარბაზი გიორგი ტაბატაძემაც.

ამგვარი განწყობილების საპასუხოდ გაისმა რუსთაველის საზოგადოების ერთმართლის ურთიერთობების კომისიის თავმჯდომარის გიორგი ვაჩეჩილაძის ნათქვამი, რომ ისტორიული მესხიერება ძალიან ძლიერია და ამიტომ ერთმართლის ურთიერთობაზე, უპირველეს ყოვლისა, სიმართლით უნდა ვსაუბრობოთ, და საბოლოოდ დავანებოთ თავი საბჭოურ ტერმინს „ხალხთა მეგობრობა“, რადგან ისტორიული ფსიქოლოგიის ასეთი ტერმინი არ არსებობს. მეგობრობა უარესად ინტიმური მოვლენაა და შეუძლებელია იგი არსებობდეს ერებს, ხალხებს შორის. მათ შორის უნდა სუფევდეს მხოლოდ თანხმობა და ურთიერთგაგებობა.


საქართველოში მცხოვრებ ერთმართლის თანხმობა, ჩანს, ჭერჯერობით მიუღწეველია, მაგრამ კონფერენციაზე იგი არც ისე რთული აღმოჩნდა. კონფერენციამ გადაწყვიტა:

- 1. მიღებულ იქნას რეზოლუცია ქუროთების მდგომარეობის შესახებ ერაყში.
- 2. შეიქმნას ეროვნულ-კულტურული და საქველმოქმედო საზოგადოებრივი ორგანიზაციების ასოციაცია.
- 3. შეიქმნას კავკასიის საერთო-საინფორმაციო ცენტრი „ცხელი ხანი“, რომელიც თავიდან აგვარიდებს მოსალოდნელ ეთნოკონფლიქტებს.
- 4. მომავალი წლის იანვრის ბოლოსა და თებერვლის დასაწყისში



ბას. ისინი რეგულარულად ჩვენ იქ, ჩაიყვანენ ბავშვთა მხატვრულ კოლექტივებს, პედაგოგ-კონსულტანტებს.


საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის წევრმა კობა ლურსმანაშვილმა, რომელმაც ძირითადად ჯარისადმი ბოიკოტის პრობლემებზე ისაუბრა, მოუწოდა ყველას, ქართველსაც რა არაქართველსაც, პირველ რიგში იზრუნონ ურთიერთობების წერტილებში მოქმედებაზე. მაგრამ, ვფიქრობთ, იმისათვის, რომ საქართველოში მცხოვრებ ხალხებს შორის ურთიერთშეხების წერტილები გამოიქვანოს, საჭიროა გულახდილად, ბოლომდე, დაუფარავად ითქვას ვინ ვინ არის, ვის რა სურს, ვინ რას მოითხოვს — ქართველიც და არაქართველიც. უამისოდ, რაც არ უნდა შეეარბილოთ პრობლემები, ისინი არ გაქრებიან, მაინც იარსებებენ და



ან კი რა გამოჩნდებოდა, როცა

გულნარა ბაზარული, რუსუდან ლეგანია. გონდო დვალისძის ფოტოები. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ლელო მესხი- „თბილისი“, „ჯორჯია“



საქართველოს 1990 წლის საუკეთესო სპორტსმენად ბევრი, ალბათ, ლელო მესხს დასახელებდა. ლელო ამჟამად სრულიად დასაბურღებულად იკავებს ადგილს მსოფლიოს საუკეთესო ჩოგბურთელ ქალთა ოცეულში. მესხის პროგრესი ისე აშკარაა, რომ სულ მალე, ალბათ, არ გავეკვირდებამთ მისი გვარის აღმოჩენა მსოფლიოს რეიტინგ-ლისტში შტეფი გრაფის, მარტინა ნავრატოვასა და ვაბრიელა სანაბინის გვერდით. ეს ყველაფერი მომავლის საქმეა და ჩვენ უკვლავ გვჭირდება, რომ ლელო მესხი საქართველოს სახელით კიდევ მრავალ გამარჯვებას მიაღწევს. დახმარებას საქართველოს სახელით და აქი თვითონაც ამბობს: „ბოლოს და ბოლოს მე ვაღწიე, რომ როცა ჩემს გვარს გამოაცხადებენ, შემდეგ უხათოდ, უნდა მიპაუროს „თბილისი“ და „ჯორჯია“. თბილისი და საქართველო — მისი ირი საუკუნოვანი ცნებაა, თუმცა სულ უფრო და უფრო იშვიათად უხდება მშობლიური ქალაქში ჩამოსვლა. ტურნირები, მოგზაურობა ერთი კონტინენტიდან მეორეზე და აი, როგორც იქნა, ჩვენი შეხვედრაც შედგა...

— პირველ რიგში, მინტერესებს, თუ როგორ მოგვარა თბილისი — ლელო, თუ ლელოა?...
— პასპორტში ლელო მიწერია, ისე, ლელო მეძახის, ასე რომ, როგორც ვინდათ, ისე დამძახეთ.
— სახელისა არ იყოს, იქნებ ზუსტად გვითხროთ თქვენი ზუსტი რეიტინგი ამ ბოლო მონაცემებით?
— შარშან 44-ე ვიყავი, წლის ბოლოსთვის კი უკვე 30-ე. ამჟამად კი მე-17 ადგილი მიკავია მსოფლიო კლასიფიკაციაში.
— წლებადელი წელი, თუ არ გვცდები, საუკეთესო უნდა იყოს თქვენს სპორტულ ბიოგრაფიაში...
— ყველაფერი შარშან, სეზონის მიწურულიდან დაიწყო. უკვე ვგრძობდი, რომ შეტყვევებ ბევრად არ ჩამოუვარდებოდლი, მაგრამ სერიოზული წარმატება არა და არ სჩანდა. და, აი ამერიკის შეერთებული შტატების ქ. ნეშვილის დიდ სავაჭრობის ტურნირზე, როგორც იქნა, პირველად მივადრწვი გამარჯვებას. არადა, ტურნირი საკმაოდ წარმომადგენლობითი იყო და ჩემთვის ამ წარმატებას დიდი ფსიქოლოგიური მნიშვნელობა ჰქონდა.
— წლებადელი სეზონი ავტორალიის ლია ჩემპიონატი — „ლელო მესხის“ პირველი ეტაპით დაიწყო...
— „მწვენი კონტინენტზე“ საკმაოდ კარგ ფორმაში ჩავდი და ორი წრე ისე გავიარე, რომ არავითარი დაბრკოლება არა მქონია, მაგრამ მესამე წრეში, როგორც ყოველთვის, შტეფი გრაფს შეხვედრი. პირველი სერი მერტალ დაი-

სთან ერთად. ვფიქრობდი, რომ საფრანგეთში, როგორც გარს“ კორტებზე ურიგოდ არ უნდა გამოვსულიყავი, მაგრამ... თავდაპირველად არცთუ სუსტ ავსტრალიელ ჩოგბურთელს მოვუგე, შემდეგ ლარისა სავიქნოს და მესამე წრეში იუგოსლაველ მონიკა სელიმს შეხვედი. მე თამაში არ გამოვივიდა, იმ დროისათვის სელიმს კი საუბრით სპორტულ ფორმაში იმყოფებოდა და ამ ახალგაზრდა გოგონას დამარცხება პირდაპირ შეუძლებელი იყო.
— უიმბლდონი?
— ეს, ალბათ, ყველაზე უსიამოვნო თემაა ჩემთვის. ამდენი წელი ვთამაშობ და ვერა და ვერ „შევიყვარე“ უიმბლდონის კორტები...
— (მარტო ლელო მესხი კი არა, მსოფლიოს მრავალი ჩოგბურთელიც ასეა — ზოგს საფრანგეთის „როლან გარო“ არ მოსწონს, ზოგს უიმბლდონი, ზოგს კი „ფეშინგ მელოუ“ (აშშ). ასე მაგალითად, სახელგანთქმული ივან ლენდლს თავის მდიდარ სპორტულ კოლექციაში ყველა ჯილდო აქვს, გარდა უიმბლდონისა... — გ. ტ.)
— ლელო, თქვენს ანგარიშზე ჯერ-ჯერობით ხამი საერთაშორისო ტურნირის მოგებაა, მაგრამ, ალბათ, ყველაზე დიდი მიღწევა მაინც ამერიკის ლია ჩემპიონატში გამოხვდა იყო...
— მიღწევად იმიტომ მითვლიან ბევრნი, რომ საბჭოთა ჩოგბურთელთაგან მეოთხედმდინაში ადრე არავინ არ გასულა. მე კიდევ ვიმეორებ, რომ წელს ამჟამად ვგრძობდი, რომ ფორმაში ვიყავი და ადრე თუ გვიან შედეგიც უნდა ყოფილიყო. თავდაპირველად მტოქები სუსტები არ იყვნენ, მაგრამ არცერთ მათგანთან ბრძოლა არ გამჭირვებია, სანამ მეოთხედმდინაში არგენტინელ ვაბრიელა სანაბინის არ შეხვედებოდი...
— (სხვათა შორის, სწორედ ამერიკის ლია ჩემპიონატზე დამარცხებულამ პირველად საბჭოთა ნაკრების ყოფილი ლიდერი (ყოფილი იმიტომ, რომ ახლა ლელო მესხია პირველი ნომერი) ნატალია ზვერევა, თანაც მეორე სერი გამახადგურებელი აზერბაიჯანელი დამატევა — ნ.ბ. თუმცა, ზვერევას მამას და ამისთან ერთად პირად მწვრთნელს მარტო ზვერევას ეს ყველაფერი ლელოს აქტივში არ იყუთვლია, ის თავისი შვილის მოუშაღებელ გამოცხადებას დააბრუნა.
— მერვედმდინაში კი ლელო შეტოქე იყო იქამდე ყველასათვის უცხოთა იტალიელი ლიდა ფერანტო. ფერანტო ამ ტურნირის ერთ-ერთი ყველაზე დიდი სენსაციის ავტორი გახდა — მეუქმსმეტრედმდინაში მან მონიკა სელიმს გამოთიშა ასპარეზობას — გ. ტ.)
— ფსიქოლოგიურად ფერანტოს დიდი უპირატესობა ჰქონდა, — ამბობს ლელო, — მან ხომ სულეში დამარცხდა. არადა, სულეში იშვიათად თუ აგებს მნიშვნელოვან შეხვედრებზე სეტუსაც კი, ასე რომ, ყოველივე ამან ჩემზე გამაღიზიანებლად იმოქმედა (სასიკეთოდ, რა თქმა უნდა). თუმცა, კიდევ ვიმეორებ, რომ ერთ-ორად უფრო ძნელი იყო ამ დროს ფერანტოს დამარცხება, ვიდრე სელემისა...
— ახლა თუ იხი, ფერანტოც და-მარცხდა და ნახევარფინალის საგზურისათვის თქვენი მეტოქე იყო მსოფლიოს მეოთხე ჩოგანი ვაბრიელა სანაბინი...
— ეს შეხვედრა ვიდვოკსეტაზე გადამდებული და თბილისში ჩამოვიტარე, ახლაც რომ ვუყურებ ხოლმე ხანდახან, სინაჟლის გრძობა არ მასვენებს. შეხვედრა ხომ ჩემი თამაშით წავაგე — პირველი სერიცა და მეორეც — აქვე მინდა, ერთი ფრიალ საგულისნმო მომენტიც აღვნიშნო. საერთოდ, ჩოგბურთის მატჩის მსვლელობის დროს კომენტატორები იშვიათად თუ ამხილებენ ყურადღებას მსახთა შეცდომებზე. ამის მიზეზი კი ის არის, რომ მსახთის მხრიდან გადარცხები ძალიან უმინშვნელო ხასიათს ატარებს. აი, საბატინისთან მატჩის დროს კი კომენტატორები აღმფოთებდას ვერ მოვადინენ მსახის მიკროტოხული საქციელის გამო. იმდენად აშკარა იყო მსახის „სიმპატიები“ საბატინის მიმართ, რომ ნეიტრალური მაყურებელი მის ყოველ მიმბრუნებას სტვენითა და არასასიამოვნო შეძახილებით ხვდებოდა. შეხვედრის მეორე დღეს კი არაერთი გულშემატკვარი მოვიდა ჩემთან და გამამხივეს. მათივე სიტყვებით, ბრძოლა მორა-

ლური თვალსაზრისით ჩემი მოგებელი იყო.
— ე. ი. თქვენ ვინდათ თქვათ, რომ ნახევარფინალში გახსხველი წახსები ახლოდებურად ერთნაირი გქონდათ?
— ასე გამოდის... თანაც უნდა გავითვალისწინოთ, რომ საბატინის წელს რაიმე მნიშვნელოვანი ტურნირი არ მოუგია, და ჩემთან თამაშის მერე, ფსიქოლოგიურად უფრო დამშვიდდა და ჯერ მარჯო ფერანტოს და მარცხა, შემდეგ კი შტეფი გრაფი.
— ლელო, მეც და, ალბათ, ბევრს, აინტერესებს თქვენი ურთიერთობა საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრებთან.
— ურთიერთობა თითქმის ყველასთან ნორმალური მაქვს. მაგალითად, ნატალია ზვერევასთან შედარებით უკეთესი, ვიდრე ლარისა სავიქნოსთან. ამ უკახასწენს საკმაოდ დიდი წარმოდგენა აქვს თავის თავზე, არადა წყვილებში (ზერევა-სავიქნოსი) დუეტი მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესოა — გ. ტ) წარმატების საწინდარი ისევე და ისევე ზვერევას კარგი თამაშია.
— მათი რეიტინგები როგორია?
— ზვერევა მე-14, ხოლო სავიქნოსი 35-36-ე ადგილზეა.
— თქვენ მეწყვილენ — ნატალია მედვედევაზე რას გვეტყვით?
— ვფიქრობ, რომ, ალბათ, სულ მალე მეწყვილეს გამოვიცვლი...
— მიზეზი, ალბათ, მოწადების დონე?
— კი, რა თქმა უნდა. ოღონდ ჯერ-ჯერობით ვადაწყვეტილი არ არის, თუ ვინ იქნება. შეიძლება ესანელო არანტა სანჩესთან ერთად ვითამაშო კიდევაც...
— რაიმე წინააღმდეგობა უშლის ხელს თქვენი და ხანჩის დუეტის შექმნას? როგორც ვიცით, ხანჩის, რომელიც მსოფლიოს საუკეთესო ჩოგბურთელთა ზუთუღში შედის, საკმაოდ დიდი ძალა და ამბთან, ღირსეული პარტნიორიც...
— არა, უბრალოდ, სანჩესს ჩემს გარდა, მარტინა ნავრატოვამაც შესთავაზა მეწყვილეობა, რადგან მის ყოფილ პარტნიორს პამ შრაივერს ტრავმის გამო ფაქტიურად არც უთამაშია.
— (სამივე ეს ზემოთაღსახელებული ჩოგბურთელი სხვადასხვა დროს შედიოდნენ თუ შედიან საუკეთესო ათეულში. ამით გარდა, ლელოს არაერთხელ დაუმტკიცებია ისეთი ცნობილი ოსტატები, როგორებიც არიან რაფაელა რეჯი (იტალია), კალუდია კოდე-კილ-მე (გფრ) და სხვა — გ. ტ.)
— ლელო, როგორც ჩოგბურთის გულშემატკვრებმა იცინა, ყველა სპორტსმენი რაღაც ფორმის ღირსებას უნდა იცავდეს, როგორც მაგალითად ზვერევა, რომელიც „პრო სერვისთან“ კონტრაქტს მოაწერა ხელი. თქვენ თუ გამოდიხართ რომელიმე ფორმის სახელით?
— თავდაპირველად, ორი თვე ფორმა „ე. ი. მ.“-ში დავყავი, შემდეგ კი ავტო უკვე ორი თვეა რაც ვადავდი ამერიკულ ფორმა „ედვანტიზში“. ვფიქრობ, რომ ეს ყველაზე საუკეთესო ფორმაა.
— იქნებ მოკლედ გვითხროთ ამ ფორმის ფუნქციების შესახებ?
— სიამოვნებით. ფაქტიურად ფორმა ატოქმს ყველაფერს, რაც სპორტსმენმა არ უნდა იზრუნოს — ტურნირებზე განაცხადი, სამგზავრო ბილეტები, სასტუმრო, კონტრაქტების დადგმა რომელიმე სარეკლამო ფირმასთან და, რაღა თქმა უნდა, ფინანსური საქმეების მოგვარება.
— ჩვენ ახლა, ცოტა არ იყოს, ერთხელ უზრუნველ თემას მივადექით, თუ ხალხმლო არ არის, იქნებ როგორმე ავცინსნათ ეს საფინანსო შეკანონება?
— როგორც ზემოთ გითხარი, ყველა საკითხს ფორმა განაგებს და მე მოგებული თანხის 50 პროცენტს მინდობს. თვითონ 10 პროცენტს იტოვებენ (თუ სანგენებელი გამოსვლებია, მაშინ — 20-ს), 15 პროცენტს მიაქვს სპორტსახკომს, დასარჩენი 25 პროცენტი კი პირად მწვრთნელზე, საქართველოს ნაკრების მწვრთნელზე და საბჭოთა კავშირის ნაკრების მწვრთნელზე ნაწილდება.
— ე. ი. რაც მთავარია, სპორტსახკომს ახლა ცოტა მაქვს?
— სჯობს, რომ სულ არაფერი წაიღოს. ადრე ხომ ფაქტიურად მთელ მოგებულ თანხას მათ ვაბრებდით, შემდეგ ჯერ 35 პროცენტი გამოგვიყვავს, მერე 45 და ახლა, როგორც ხედავთ, 50-ზე ავიდა.
— მთავარია, ნუ-იორკში, ამერიკის ლია ჩემპიონატზე ჩემი მიღწევა — სულ მე 60 000 დოლარი მეკუთვნოდა და მისი ნახევარი მივიღე.
— საუბარი თანხებზე ჩამოვარდა და იქნებ მოგვეწყო რაიმე ტურნირი, მოგვეწვია რამდენიმე ცნობილი ჩოგბურთელი. რა თქმა უნდა, ხარჯები დიდი იქნება, მაგრამ იქნებ გამოჩნდნენ სპონსორები და ოთხთა ტურნირი მაინც ჩავატაროთ?
— ხარჯები?! ხარჯები იქნება და მერე როგორი. თუ ჩამოვიყვანთ, ალბათ, ისეთს, რომ ხალხი იცნობდეს, ე. ი. ათეულში მაინც უნდა შედიოდას. ასლა კარგად მომისმინეთ: ყველაფერი უფასო უნდა იყოს — კვება, ბილეთები, სასტუმრო, მომსახურება, თანაც მარტო არ იქნებან, ვილაცას ან დედა ეყოლება ან ქმარი. ეს ყველაფერი დაახლოებით ერთი კვირის განმავლობაში რამდენი დაჯდება? თანაც კულტურული პროგრამაც ხომ უნდა შევუქმნათ...
— ...და ცალკე ფული, არა?
— რა თქმა უნდა. თითოეულს მინიმუმ 40 000 მაინც, თანაც არ დაგავიწყდეთ, დოლარებში. საბჭოთა მანეთი ვის აინტერესებს...
— იქნება მეგობრულად თხოვით, თქვენი პირადი ურთიერთობების გამოყენებით?
— გასაგებია თქვენი დიდი სურვილი, მაგრამ ისინი პროფესიონალები არიან. ჯერ ერთი, მათ თავისუფალი დრო ანუ „ფანჯარა“ უნდა გამოჩნდნენ უადრესად გადატვირთულ სეზონში. და თუ გამოჩნდება, ისინი, იგივე შტეფი გრაფი, მაგალითად, შევიცარიის ალბუმში წავა დასასვენებლად მეგობრებთან ერთად...
— ?!
— ეს ხომ ჩვენთან არის მარტო, რომ თხოვო — შენი პირივე, ჩემი ხათრი თუ გაქვს, უნდა ითამაშო.
— ლელო, ისევე ხართ პირდაპირ ჩოგბურთელ გადავიდეო, თორემ ამ გაჭირვებულ დროს შეიძლება ვილაცამ გამოვლანდნის კიდევაც — რა დროს დღეარების გასახუტრებააო (არადა, მე მაინც ვფიქრობ, რომ არის ხალხი, რომელთათვისაც ეს ყველაფერი კავშირგაბმულია...
— კარგად მოგხსენებთ, რომ ჩვენთან ჩოგბურთი, როგორც სპორტის სახეობა, ერთგვარ ჩინშია მოქცეული. კი, რა თქმა უნდა, დღეს ძალზედ პრესტიჟულია ჩოგბურთი ვარჯიში, მაგრამ აი, სპორტულ თვალსაზრისით, საქმე ძალზე ცუდადაა. ვინა გვყავს თქვენს გარდა? ვლადიმერ გავრილოვი და დავით კაპარაძე — მორის და ვაია ვლად. არადა, თითქმის საქმაოდ პერსპექტიული ახალგაზრდები იხრდებიან, მაგრამ შემდეგ ხალხი იკარგებიან...
— საესებით გეთანხმებით. მაგრამ რა ჩოგბურთელის ვაზრდაზეა საუბარი, როცა თბილისში ძალიან ცოტაა ნორმალური კორტი, არ იშვიათად ჩოგნები, ზურთები. ასეთ პირობებში ძნელია, რომ რაიმე სერიოზულ წარმატებებზე ვიფიქროთ...
— ლელო, ჩვენც ისე ვადავჩინებ და დიდი მადლობა მოგახსენოთ გულმადლი საუბრისათვის. რაც მთავარია, მომავალში შტეფი გრაფს ის კი არ ეთქვას, რომ შეხთან თამაში ხამოგვებს მაინტეხის, არამედ მისი შეხიანია. მე, პირადად ამისი მჭერა, რომ ეს მალე იქნება.
— ახვე მალე იქნება, რომ ლელო მესხის პატივსაცემად „დღე მუხარდის“ ერთ-ერთ ტურნირში გამარჯვებისათვის მამაღლა გამოაცხადებს — ლელო მესხი, „თბილისი“, „ჯორჯია“...
P. S. ლელო მესხთან ეს ინტერვიუ მოსკოვის საერთაშორისო ტურნირის დაწყებამდე შედგა. როგორც ლელო დაგვამარდა, მან წარმატებით იახარა და გამარჯვებული გამოვიდა და წარმომადგენლობით შეჯიბრებში. კიდევ ერთხელ ვულოცავთ ჩვენს სახალხლო ჩოგბურთელს ამ შესანიშნავ წარმატებას და ვუსურვებთ მომავალში მრავალჯერ გახარებისათვის მისი ნიჭის მრავალრიცხოვანი გულშემატკვარია.
ესაუბრა გიბ ტუხაშვილი
ფოტო ამერიკული ხაჩოგბურთო უფრნად „ინტერნეშნლ ტენის პლეიერიდან“

პასუხები რადიკალს

ა/წლის 27 სექტემბრის № 105 „ახალგაზრდა ივრელები“ მრგვალი მაგიდის პოლიტიკური ორგანიზაციების და ინდივიდუალური წევრების მიერ გამოქვეყნებულ წერილებზე გაცხადებით შემიძღვება:

მშენებლობის სამმართველო „კავკავიარამშენის“ უშუალოდ რაკის გვირაბის მშენებლობაზე არასოდეს მიუღია მონაწილეობა, გვირაბთან მისასვლელი გზის მშენებლობა, რომელიც 1989 წელს გადმოგვეცა, ამავე წლის ოქტომბრის ცნობილი მოვლენების შემდეგ არ გავივრძელებია. აღნიშნულ ობიექტზე დაბანდებული მთელი ძალეები გადაყვანილი იქნა ონის, ყაზბეგის, მარნეულის რაიონებში, სადაც ამჟამად შესაბამისად საგლოლო-პიორა-ლემის, ნელხი-ახილის და სოფ. ახკერპის საავტომობილო გზების და ხიდების მშენებლობა მშობინარეობს.

რაც შეეხება მლეთა-ყაზბეგის საავტომობილო გზის რეკონსტრუქციის სამუშაოებს, გვირაბის მშენებლობის ჩათვლით „კავკავიარამშენის“ კოლექტივი მზად არის გასაღად დაიწყოს მოსამზადებელი სამუშაოები, სათანადო ფინანსირების უზრუნველყოფის შემთხვევაში.

„კავკავიარამშენის“ უფროსი ავთანდილ ჩალაძე

თქვენს გაზეთში — რუბრიკით „კრიმინალური ქრონიკა“ მოხსენებული იყო დიდუბის რაისურსათვაჯრობის № 1 მაღაზია, სადაც თამბაქოს ნაწარმის რეალიზაციის დროს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა შესაბამისი განყოფილების მიერ გამოვლინდა ვაჭრობის წესების დარღვევები.

ამასთან დაკავშირებით ვაცნობებთ. დიდუბის რაიონის შს განყოფილებამ, რომელმაც განიხილა რესპუბლიკის შესაბამისი ორგანოს მიერ გამოცემული მასალები, მოკვლევით დაადგინა, რომ აქტში დასახელებული თამბაქოს ნაწარმი გადახალხულ არ ჩაითვლება, რადგან იგი უნივერსალის დარბაზის გამგემ მ. არგვლაძემ 5 სექტემბრის შემოწმების დაწყებამდე 15 წუთით ადრე მიიღო საქართველოს ბაკალეის ბაზიდან. თამბაქოს ნაწარმის მწვავე დეფიციტის პირობებში, მისი ორგანიზებულ რეალიზაციასათვის გამოყოფილი გახლდათ ცალკე გამყოფი, გაყიდვის ადგილიც შესარჩევი იყო, რაც დაკვეთულ დროს მოითხოვდა. ამიტომაც ის ფაქტი, რომ გამგეს სიგარეტები სათავსოში ჰქონდა და არა გასაყიდად

გამოტანილი, ნაწარმის გადახალხულ არ ჩაითვლება.

რაც შეეხება სიგარეტ „პოლიოტს“, იგი ჩვენთან მიღების დღიდანვე (სამი სექტემბერი) იყო დედა. შემოწმების დღესაც — 5 სექტემბრის საკონტროლო სექციის მოლარე-კონტროლიორ მ. ალიოანზე გასაყიდად ვაიცი ვარკვეული რაოდენობის დასახელებული სიგარეტი. როგორც შემოწმებისას აღმოჩნდა, მას გამყოფი იყო არ ჰქონდა, ჩაწყობილი ჰქონდა მუყაოს ყუთებში, ასევე ნაწარმი ფასმარეგულირებელი დასახელებული არ ჰქონდა.

იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ მ. ალიოანს არ ჩაუდგინა მძიმე სისხლის სამართლის დანაშაული, წარსულში მსგავს ქმედებებში არ არის შემჩნეული, ასევე მარტოხელა დედა, საზოგადოებრივი ზემოქმედების ზომების მისაღებად მასალები ჩვენი უნივერსალის კოლექტივს გადმოგვგზავნა.

ანდო ნინია,

დიდუბის რაისურსათვაჯრობის დირექტორი.

შენიშვნა: პასუხს თან ერთვის აღნიშნულ საქმეზე დიდუბის რაიონის შს განყოფილებიდან და პროკურატურის მასალები.

საქართველოს

ტექნიკური უნივერსიტეტი

(დასასრული)

პირის სწავლის ხარჯების ნაწილობრივ ასანაზღაურებლად 3600 მანეთის გადახდის ვალდებულებით, ხოლო დღის სწავლებაზე ჩარიცხულ პირს, აგრეთვე გადაუხდის სტიპენდიას (ხელშეკრულების და მიმართვის ფორმები გაიცემა განცხადებაში მითითებული მისამართებით).

1990 წელს სამხედრო სამსახურიდან დემობილიზებული მისამართებულ განყოფილებაზე მიიღებია ხელშეკრულების ვარიანტზე, სამხედრო სამსახურიდან სათანადო მომართვის საფუძველზე.

შენიშვნა: ა) პროფესიულ-ტექნიკურ სწავლებაზე სწავლის პერიოდში არ ითვლება პრაქტიკული მუშაობის სტაჟად მოსამზადებელ განყოფილებაზე შესასვლელად.

ბ) დღის სწავლების ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, საშუალო სპეციალურ და პროფტექნიკურ და სხვა სწავლებლებში სწავლის პერიოდში არსებული პრაქტიკული მუშაობის სტაჟი მოსამზადებელ განყოფილებაზე შემსვლელად არ ჩაითვლება.

საბუთები მიიღება განცხადებაში მითითებული მისამართების შესაბამისად. ამ ფაქტორებთან განლაგებული უახლოესი რაიონების მაცხოვრებლებისათვის 1990 წლის 1 ნოემბრიდან 15 ნოემბრამდე (გარდა შაბათ-კვირისა). შემსვლელებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები: განცხადება, მომართვა და ხელშეკრულება; შრომის წიგნაკის ამონაწერი (ორგანიზაციის ბლანკზე ან შტამპთან ფურცელზე); საბუთების ცნობა — ფორმა № 086-უ; საშუალო განათლების

დოკუმენტი (დედანი); 6 ფოტოსურათი (3X4), ხოლო პასპორტს შემსვლელი წარმოადგენს პირადად. გასაუბრება და შემდგომ, მოსამზადებელ განყოფილებაზე სწავლება განხორციელდება ადგილებზე, განცხადებაში მითითებული მისამართების შესაბამისად.

გასაუბრება ჩატარდება ბილეთებით 1990 წლის 17 ნოემბრიდან არაორგანულ ნივთიერებათა ქიმიური ტექნოლოგიის სპეციალობაზე შემსვლელთათვის: ქიმიის და მათემატიკაში, ყველა დანარჩენ სპეციალობებზე შემსვლელთათვის: მათემატიკაში და ფიზიკაში. შემსვლელმა ორივე საგანში უნდა მიიღოს დადებითი შეფასება. თუ შემსვლელი პირველ საგანში მიიღებს არადადებით შეფასებას, შეფასებას ის იხსნება გასაუბრებიდან და მეორე საგანში გასაუბრებაზე აღარ დაიშვება.

მოსამზადებელ განყოფილებაზე სწავლა იწყება 3 დეკემბრიდან. დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება განცხადებაში მითითებული მისამართებით.

რეაქტორები

ჩვენი გაზეთის შემდეგი ნომერი გამოვა სამშაბათს, 16 ოქტომბერს.

მეგობრებო!

საპარტიკანეროში პირს საერთო ხელსაწყოებით ნუ გაიპარავთ. განსოვებით პირის პარსვა არასაკმარისად სტერილური ინსტრუმენტებით შიღისი გადაცემის ერთერთი გზაა.

შიღისი გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლის საქართველოს საზოგადოება. (პუბლიკატორული ასოციაცია „კათარზისი“).

გინებოთ ტაპარტან

პუბლიკატორული ასოციაცია „კათარზისის“ სათნოების ორდენი

შეასვენებს ყველას, ვისაც სურვილი აქვს მონაწილეობა მიიღოს პუბლიკატორულ მოძრაობაში „კათარზისი“ ერთი დღე მოყვასს“ და ეს დღე თავის ყველაზე გაჭირვებულ თანამომქმს დაუთმოს, რომ ორდენის წევრები ტრადიციულად შეიკრიბებიან ქაშუეთის ტაძრის ეზოში შაბათს, 13 ოქტომბერს 11 საათისათვის.

ასი ყველაზე უქონელი თბილისისათვის სამყოფ პროდუქტებს ამგვარად შეიძენს უალკოპოლო სასმელების ქარხნის თანამშრომლები.

სათნოების ორდენი (პუბლიკატორული ასოციაცია „კათარზისი“).

საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის განცხადება

1990 წლის 13 ოქტომბერს, შაბათს 12 საათზე, რუსთაველის მოედანზე, კინოს სახლის წინ დაიწყება მანიფესტაცია, რომელიც მიეძღვნება საქართველოს ეროვნული

ლი გვირის მერაბ კოსტავას ხსოვნას. მანიფესტაციაზე მერაბ კოსტავას ცხოვრებისა და მოღვაწეობის პარალელურად ყურადღება გამაზვილებდა უმნიშვნელოვანეს

ეროვნულ-პოლიტიკურ საკითხებზე. წაითხულ იქნება დეკლარაცია საყოველთაო ეროვნული დაუმორჩილებლობის შესახებ. მოეწყობა ვასლა გვირის საფლავზე. ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი.

პელსინკის კავშირის განცხადება

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ათწლეულობის განმავლობაში საბჭოთა ფსიქიატრია იყო ის იარაღი, რომელიც თრეგნავდა პიროვნებას პოლიტიკური მიზნების გამო. იგი გამოიყენებოდა, როგორც ინსტრუმენტი პოლიტიკურ მოწინააღმდეგეთა მოსასობად. ყოველივე ამის გამო, სსრკ ფსიქიატრიული სკოლა დაგმობდა იქნა მსოფლიო საზოგადოების მიერ და გაირიცხა ის მსოფლიოს ფსიქიატრთა საერთაშორისო ასოციაციიდან.

ამ ბოლო ხანს საბჭოთა მედიკოსებმა თითქოს ზელი აიღეს საპარტიკანერო დანაშაულებრივ პრაქტიკაზე, რის გამოც საერთაშორისო ალიანსები მიიღეს, მაგრამ, როგორც ცხოვრებისეული სინამდვილე გვიჩვენებს, სხვაგვარად მოაზროვნე ადამიანების ღვენა ჯერ კიდევ გრძელდება. ამისი ცოცხალი მაგალითია შემთხვევა დემოკრატიული კავშირის ლიდერის ვლერიან ნოვოდვორსკაიას, რომლის მიმართ არა მარტო აღძრულია საქმე ანტიდემოკრატიული კანონით, რომელიც უშუალოდ იცავს პრეზიდენტს შეურაცხყოფისაგან, არამედ, გარდა ამისა, ფსიქიატრიული „ექსპერტიზის“ გამოყენებით ცდილობენ ნოვოდვორსკაიას, როგორც პოლიტიკური მოღვაწის დისკრედიტაცია.

ეს შემთხვევა გვიჩვენებს, რომ წარსულში აგორებული საბჭოთა რეპრესიული მანქანა ინერციით დღესაც მივლირავს და არც ერთი ჩვენთაგანი არ არის დაზღვეული იმისაგან, რომ საბჭოთა დამსჯელი

განაცხადი მიიღება შემდეგ მისამართზე: 380004, თბილისი — 4, საბონენტო ყუთი — 114, საქართველოს ქორწინების სააგენტო, წერილს თან დაურთეთ კონვერტი თქვენი მისამართით. თქვენ გამოგვგზავნებთ თანამშრომლობის პირობები და ანკეტები.

ცნობებისათვის: ტელ: 93-16-70.

დემოკრატიის დასაფუძნებლად აუცილებელია, დანაშაულებრივი პოლიტიკური მანქანის ლიკვიდაცია, გაუქმება იმ არასამართლებრივი კანონისა, რომელიც ისედაც ყოველგვარი უფლებებით აღჭურვილ პრეზიდენტს ახალ გაფართოებულ უფლებებს ანიჭებს.

ვ. ნოვოდვორსკაიას შემთხვევა, ესაა ელემენტარული ადამიანური უფლებების შელახვა არაადამიანური რეჟიმის მიერ, რომელიც ე. წ. „გარდაქმნისა“ და „დემოკრატიზაციას“ ეფარება. მსოფლიო დემოკრატიულმა საზოგადოებამ ახლა მანც უნდა გამოიჩინოს პრინციპული და „პერსტროიკის“ პროცესები შეაფასოს რეალურად, ხმა აიმაღლოს ოპოზიციური წარმომადგენლების დასაცავად სსრკ-ში.

1990 წლის 2 ოქტომბერი.

ყურადღება!

გაზეთი „ახალგაზრდა იმპრიული“ და საბმელონიკო პროგრამა „ილუსიონში“ რეკლამები შემოიღოთ შემოკლებული ტელეფონები: 87-58-25; მისამართი: ბუდუაშვილის № 1. (11.00 სთ-დან 17.00 სთ-მდე). შიგნა „არგო“-ს საჩუქრული სააგენტო

სალომონიკო ივერიელი

Обществено - политическа молодежна газета „Ахалгазрда Иверელი“

ტელეფონები: მისაღები — 98-97-81; პასუხისმგებელი მდივანი — 98-97-88; წერილების განყოფილება — 98-98-89.

საქართველოს კ. ც. ა. ს. ტ. შ. 380004, თბილისი-04, მ. კოსტავას ქ. № 14, აბეჭდება ოქტომბერი წესით საკანონო კორპუსში, სომხურულად № 29 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15. Наш журнал 86400 1, 2, 3, 4, 5, 6, 7.

რედაქტორი მერაბ ბალაჩიშვილი

რედაქციის მისამართი: ქ. თბილისი — 380006, მ. კოსტავას ქ. № 14.